www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფლაცია საქართველოში

2017

მარტი

03.04.2017

www.geostat.ge

03.04.2017

ინფლაცია საქართველოში, 2017 წლის მარტი

2017 წლის მარტში საქართველოში ინფლაციის დონემ წინა თვესთან შედარებით -0,5 პროცენტი შეადგინა, ხოლო წლიური ინფლაციის დონე 5,4 პროცენტით განისაზღვრა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში, **წინა თვესთან შედარებით.**

პროცენტული ცვლილება წინა თვესთან შედარებით

	%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	-1.1
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	1.3
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	-2.0
საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი	-1.5
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	-0.7
ჯანმრთელობის დაცვა	0.4
ტრანსპორტი	0.3
კავშირგაბმულობა	-0.1
დასვენება, გართობა და კულტურა	0.1
განათლება	-0.3
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	-0.4
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	-0.2
ინფლაციის დონე, სულ	**-0.5**

ჯგუფების წვლილი* 2017 წლის მარტის ინფლაციაში (სულ -0,5%)



მოცემულ პერიოდში ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები შემცირდა 1,1 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე -0,33 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასების კლება დაფიქსირდა შემდეგ ქვეჯგუფებზე: ბოსტნეული და ბაღჩეული (-8,5 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (-2,0 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (-0,5 პროცენტი). ამასთან, ფასები გაიზარდა ხილსა და ყურძენზე (2,0 პროცენტი), აგრეთვე ზეთსა და ცხიმზე (1,4 პროცენტი);

საცხოვრებელი, წყალი, ელ. ენერგია, აირი: ჯგუფში ფასები შემცირდა 1,5 პროცენტით, შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში -0,13 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები შემცირდა ელექტროენერგიის, აირის და სათბობის სხვა სახეების ქვეჯგუფზე (-1,7 პროცენტი);

ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 1,3 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,09 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასების მატება დაფიქსირდა როგორც ალკოჰოლურ სასმელებზე (1,8 პროცენტი), ასევე თამბაქოს ნაწარმზე (0,7 პროცენტი).

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი 2017 წლის **მარტის წლიური ინფლაციის** მთლიან მაჩვენებელში.

პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით

	%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	5.4
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	16.0
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	-4.0
საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი	0.7
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	-0.9
ჯანმრთელობის დაცვა	4.2
ტრანსპორტი	18.7
კავშირგაბმულობა	0.6
დასვენება, გართობა და კულტურა	-0.1
განათლება	1.3
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	1.0
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	2.2
ინფლაციის დონე, სულ	**5.4**

ჯგუფების წვლილი* 2017 წლის მარტის ინფლაციაში წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, (სულ 5.4%)



წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

ტრანსპორტი: ჯგუფში ფასები გაიზარდა 18,7 პროცენტით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 2,26 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასების მატება დაფიქსირდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (27,4 პროცენტი) და სატრანსპორტო მომსახურებაზე (4,6 პროცენტი);

მოცემულ პერიოდში ფასების 5,4 პროცენტიანი მატება დაფიქსირდა **სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების** ჯგუფზე, რაც 1,62 პროცენტული პუნქტით აისახა წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში. ფასები გაიზარდა შაქარზე, ჯემზე და სხვა ტკბილეულზე (13,6 პროცენტი), ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე (8,1 პროცენტი), ზეთსა და ცხიმზე (7,8 პროცენტი), ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე (6,1 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირდა ხილსა და ყურძენზე (-4,5 პროცენტი);

ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 16,0 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 1,03 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია თამბაქოს ნაწარმზე (33,1 პროცენტი).

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

ყოველთვიური ინფლაცია



წლიური ინფლაციის დონე საქართველოში

(წინა წლის შესაბამის თვესთან, პროცენტული ცვლილება)

საშუალო ინფლაციის დონე საქართველოში

(12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან, პროცენტული ცვლილება)

საკონტაქტო პირი: ლევან ქარსაულიძე
ტელ: (+995 32) 236 72 10 (400)
ფაქსი: (+995 32) 236 72 13
ელ.ფოსტა: lkarsaulidze@geostat.ge